სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	სამცხე ჯავახეთის „ტაო“ - თბ „არმია“		
გუნდი	თბ „არმია“	შეჯიბრი	I ლიგა
მატჩის თარიღი	12/11/2023	მატჩის ადგილი	ასპინძა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
სტატუსი	მოთამაშე	დაბადების თარიღი	26/06/2002
სახელი, გვარი	საბა დათიაშვილი		
☒მსაჯი ☐საითინგ კომისარი	კიდის მსაჯი, გიორგი ირემაშვილი	დარღვევა	☐ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	9.28 (ბ) მოთამაშემ არ უნდა შეურაცხყოს სიტყვიერად მატჩის ოფიციალური პირები. სიტყვიერი შეურაცხყოფა მოიცავს შეურაცხყოფას რელიგიის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობის, სექსუალური ორიენტაციის მიხედვით.		☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	15/11/2023	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა		
დამრღვევის დასწრება	☒ კი ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	კიდის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის საითინგი		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის და დამხმარე მასალების ძირითადი ელემენტები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის კიდის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის საითინგი;
2. მატჩის კიდის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
3. მატჩის ვიდეოჩანაწერი #1 (საბა დათიკაშვილის აგრესიული და ხმამაღალი აპელირება მსაჯის გადაწყვეტილებაზე);
4. მატჩის ვიდეოჩანაწერი #2 (თამაშის დასრულების შემდეგ მსაჯებს შორის დიალოგი).

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

თბ „არმია“-ს მოთამაშემ საბა დათიაშვილმა აღიარა მსაჯის გადაწყვეტილებაზე აგრესიული და ხმამაღალი საჯაროდ აპელირების ფაქტი და განმარტა, რომ მისი საქციელის საბაბი იყო მსაჯის, მისი აზრით არასწორი გადაწყვეტილება რამაც თამაშის საბოლოო შედეგზე იქონია გავლენა და რის გამოც მისი გუნდი დამარცხდა. საბა დათიაშვილი კატეგორიულად არ დაეთანხმა საითინგში აღნიშნულ მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს მისი მხრიდან. მისი თქმით მან რამოდენიმეჯერ შეიგინა უმისამართოდ, გინება გამოწვეული იყო თამაშის შედეგით იმედგაცრუების გამო და არ იყო მიმართული მატჩის ოფიციალური პირებისკენ. საბა დათიაშვილი, მას შემდეგ რაც შეიტყო, რომ კიდის მსაჯი აპირებდა საითინგის დაწერას, მივიდა მსაჯებთან და განუმარტა რომ, მისი მხრიდან გინება არ იყო მიმართული მსაჯებისკენ და თუ მათ ეს არასწორად გაიგეს ბოდიში მოუხადა მსაჯებს.

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 12/11/2023 გაიმართა I ლიგის VII ტურის მატჩი სამცხე ჯავახეთის „ტაო“-სა და თბ „არმია“-ს შორის.
2. მატჩის კიდის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის საითინგის მიხედვით (ციტირება) – „მატჩის ბოლო წუთები დაძაბულ გარემოში მიმდინარეობდა. არმიის მოთამაშე საბა დათიაშვილის მხრიდან იყო არაკორექტული აზრის გამოხატვა მატჩის ოფიციალური პირების გადაწყვეტილებაზე და ასევე კონკრეტული, მიზანმიმართული, არაერთი გინება ოფიციალური პირის მიმართ, კონკრეტულად, ცენტრალური მსაჯის მიმართ. მე როგორც გვერდითმა მსაჯმა რამდენჯერმე მივუთითე ამ გინებაზე და სიტყვიერ შეურაცჰყოფაზე მოთამაშეს, თუმცა მან არ გაითვალისწინა და აგრძელებდა არაკორექთულად მსაჯის მოხსენიებას. ამის შემდეგ მე ცენტრალურ მსაჯს რაციაში ვუთხარი რომ მისთვის წითელი ბარათი გვეჩვენებინა ამ საქციელის გამო, თუმცა, სამწუხაროდ რაციებს ჰქონდა ხარვეზი და როგორც აღმოჩნდა ჩმი კომუნიკაცია არ მისულა ცენტრალურ მსაჯთან, რომ მიგველო შესაბამისი ზომები. ამის შემდეგ ტაომ მოიფოპა თავისუფალი დარტყმა და თამაში დასრულდა“.

3. მატჩის ვიდეოჩანაწერი #1-ს მიხედვით - თამაშის ბოლო წუთზე, „ტაო“-ს ლელოს ხაზთან მსაჯმა შეაჩერა თამაში „არმია“-ს მიერ ჩამოყალიბებული მოლის ჩახურვის გამო და დანიშნა თავისუფალი დარტყმა „ტაო“-ს სასარგებლოდ. ამ გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა „არმია“-ს მოთამაშემ, საბა დათიაშვილმა ხმამაღლა, მსაჯის ავტორიტეტის შემლახავი აგრესიული ტონით მიმართა მსაჯს და გააპროტესტა მისი გადაწყვეტილება შეძახილით „ეგ არის ტექნიკური ლელო!“.
4. მატჩის ვიდეოჩანაწერი #2-ს მიხედვით - თამაშის დასრულების შემდეგ სათამაშო მოედანზე შედგა საუბარი მსაჯებს შორის. საუბრისას მატჩის კიდის მსაჯმა, გიორგი ირემაშვილმა აღნიშნა, რომ ის აპირებდა საითინგის დაწერას „არმია“-ს #11-ზე (საბა დათიაშვილი) რადგან მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა სიტყვიერ შეურაცხყოფას (ფრაზის ციტირება -„იგინებოდა ყველაფერს“).

მსჯელობა

1. სადისციპლინო კომისია განმარტავს, რომ სრკ-ს მიერ მატჩზე დანიშნული ოფიციალური პირების (მათ შორის მსაჯების) მიერ სხდომაზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მოხსენებებს სადისციპლინო კომისია ანიჭებს უპირატესობას თუ სავარაუდო დამრღვევის მხრიდან არ იქნა წარმოდგენილი მყარი ფაქტებით განმტკიცებული საპირისპირო მტკიცებულება როგორიცაა აუდიო და/ან ვიდემასალა ან ინციდენტის შემსწრე ნეიტრალური პიეროვნებების წერილობითი განცხადებები ინციდენტთან დაკავშირებით.
2. სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების და მხარეთა მოხსენებების განხილვის შემდეგ, არ გათვალისწინა საბა დათიაშვილის განცხადება იმის შესახებ რომ, მან რამოდენიმეჯერ შეიგინა უმისამართოდ. არადამაჯერებლად მიიჩნია მისი არგუმენტაცია, რომ გინება არ იყო მიმართული მთავარი მსაჯისკენ და დადგენილად ცნო „არმია“-ს მოთამაშის, საბა დათიაშვილის მხრიდან 9.28 ბ) (მატჩის ოფიციალური პირების სიტყვიერი შეურაცხყოფა) წესის დარღვევა.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☒ მიღებულია	☐ უარყოფილია	☐ სხვა (აღწერეთ)

სანქცირების პროცედურა	
სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციებით განსაზღვრული **დარღვევის სიმძიმის შეფასება**	
☒ შეგნებული/წინასწარ განზრახული	☐ წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი
დარღვევის სახის დადგენის საფუძველი	
მატჩის კიდის მსაჯის საითინგი და გამოკითხვის აუდიოჩანაწერი	
დამრღვევის მოქმედების სიმძიმე:	
საშუალო სიმძიმის	
მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი):	
ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას:	
სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული:	
მოთამაშის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა):	
რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა):	
დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე	
დაშავებულის დაცულობის ხარისხი	

დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარი განზრახვა;
შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა;
დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი.

დარღვევის ხარისხის შეფასება. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით
ზედა ზღვარი * კვირა. **შუა ზღვარი 12(თორმეტი)კვირა** ქვედა ზღვარი კვირა

*ზედა ზღვარით შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის.

ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:

შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო;	დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;
	სუფთა სადისციპლინო ისტორია
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;	ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში;
ახალგაზრდა (21 წლის)	კარგი
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;	ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება
თამაშის დასრულების შემდეგ მივიდა მსაჯებთან და მოიბოდიშა .	

დაკლებული კვირების რ-ბა: 6 (ექვსი) კვირა/თამაში

კვირების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა : თამაშის დასრულების შემდეგ, საბა დათიაშვილი მივიდა მსაჯებთან და განუცხადა, რომ თუ მათ მისი უმისამართო გინება მსაჯის სიტყვიერ შეურაცხყოფად მიიღეს ბოდიშს იხდიდა ამის გამო.

შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია;
არა
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება;
არა
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება;
არა

დამატებითი კვირების რ-ბა: არა

სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	6 (ექვსი) კვირა/თამაში	☐ წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	16/11/2023	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი. დისკვალიფიკაციის პერიოდში შესული თამაშები.	05/02/2024 (I ლიგის ცხრილის მიხედვით)	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა.	კლუბ თბ „არმია“-ს დაეკისროს ფულადი ჯარიმა 300(სამასი) ლარის ოდენობით. ფულადი ჯარიმის გადახდის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 16 დეკემბრამდე. **შენიშვნა: სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 13.8 პუნქტის მიხედვით - სადისციპლინო კომისიის მიერ დაკისრებული ფულადი ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ვალდებულ მხარეს ეძლევა გაფრთხილება და მიეცემა დამატებითი 10 (ათი) კალენდარული დღე ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ჯარიმის გადაუხდელობის ყოველ კვირაზე გუნდს დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა. ჯარიმის გადახდის ვალდებულება ყველა შემთხვევაში რჩება ძალაში.**	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ მოთამაშეს ეკრძალება ნებისმიერი დონის რაგბის თამაშის დროს, ყოველგვარი აქტივობა სათამაშო პერიმეტრში.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	16/11/2023

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**